

თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2019 წლის 15 თებერვლის სხდომის

ო ქ მ ი N 2

2019 წლის 15 თებერვალს ჩატარდა თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ სამეცნიერო საბჭოს წევრები, მთავარი მეცნიერი თანამშრომლები: გიორგი ჭეიშვილი, მარიამ ჩხარტიშვილი, ავთანდილ სონღულაშვილი, როლანდ თოფჩიშვილი, ლიანა ბითაძე, ვახტანგ გოილაძე, ვაჟა კვიციანი, დოდო ჭუმბურიძე, ელდარ ბუბულაშვილი, ნინო მინდაძე, ხათუნა იოსელიანი, ლავრენტი ჯანიაშვილი. საბჭოს სხდომას ესწრებოდა სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტი (დანართი 1).

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ, ლ. ჯანიაშვილმა საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა დღის წესრიგი:

1. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის 2018 წლის მონაცემების შეფასება და სამუშაოს შეფასების მიზნები;
2. ინსტიტუტის სამეცნიერო კრებულთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები;
3. ინსტიტუტის ვებ-გვერდის განახლება;
4. მიმდინარე საკითხები.

კენჭისყრის შედეგად, დღის წესრიგი ერთხმად იქნა მიღებული.

მოისმინეს:

1. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის 2018 წლის მონაცემების შეფასება და სამუშაოს შეფასების მიზნები.

ლავრენტი ჯანიაშვილი: თსუ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის 81 დადგენილებით, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო პერსონალისთვის შეადგინა თვითშეფასების კითხვარი - დანართი 2, რომელიც შეივსო 2018 წლის სამეცნიერო მუშაობის მონაცემების საფუძველზე. პერსონალის შეფასება თსუ-ში დასაქმებული თითოეული თანამშრომლის მიერ წვლილის (შესრულებული სამუშაოს) გაზომვაა უნივერსიტეტში განხორციელებულ სამუშაოებში. თვითშეფასების კითხვარი დაიგზავნა თანამშრომლებთან და შეივსო გასული კალენდარული წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიშების მიხედვით.

81/2018 დადგენილებით, სამეცნიერო პერსონალის თვითშეფასების შედეგებს განიხილავს და აფასებს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (ამ

შემთხვევაში, ჩვენი ინსტიტუტის) სამეცნიერო საბჭო და თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს (სამეცნიერო საბჭოს ოქმიდან ამონაწერის სახით) წარუდგენს სამოქმედო გეგმას ძირითადი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, სერვისებისა და სხვა სახის საქმიანობის შემდგომი სრულყოფის მიზნით.

თვითშეფასების შევსებული კითხვარების გაერთიანებული მონაცემები (დანართი 2) და N81/2018 დადგენილება დაიგზავნა საბჭოს წევრებთან თხოვნით, მოგეწოდებინათ შენიშვნები, მოსაზრებები, წინადადებები, რათა დაისახოს სამუშაო გეგმა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, სერვისების, სხვა სახის საქმიანობის გასაუმჯობესებლად და შემდგომი სრულყოფის მიზნით. სამეცნიერო მუშაობის ხარისხის ასამაღლებლად, საჭიროა ისეთი პერიოდული გამოცემის შექმნა, რომელიც საშუალებას მისცემს მეცნიერს სტატია გამოაქვეყნოს კითხვარში და შრომითი ხელშეკრულების დანართში მოცემული სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციის მიხედვით (სამეცნიერო სტატია იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში, რომელიც ინდექსირებულია Web of Science, Scopus, SCImago Journal & Country Rank, ResearchGate-ის მიერ; აღიარებულია ERIH-ის მიერ).

თვითშეფასების გაერთიანებული შედეგების გარდა, თქვენ ასევე გადმოგეზავნათ პუნქტების მიხედვით გაწერილი სამუშაოს შეფასების მიზნები (ადმინისტრაციისა და ჩემს მიერ შექმნილი სამუშაო ვარიანტი):

ა) *პერსონალმა ზუსტად აღიქვას ის მოლოდინები, რაც თსუ-ს მასთან მიმართებაში გააჩნია;*

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები შედგენილია სამეცნიერო პერსონალის თსუ-სთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების 3.2.3 პუნქტში (დასაქმებულის ვალდებულებები) აღნიშნული დანართი 1-ის მიხედვით, რომელშიც განსაზღვრულია სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაცია; და მოთხოვნა, რომ მეცნიერმა უნდა უზრუნველყოს ყოველწლიურად არანაკლებ ერთი რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნება.

ბ) *პერსონალის საქმიანობის სისტემატური მონიტორინგი, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა;*

პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის საბოლოო შეფასება ხდება წელიწადში ერთხელ, კალენდარული წლის ბოლოს. თანამშრომელთა მიერ შესრულებულ წლიურ თემებს იზარებს მონიტორინგის კომისია. მონიტორინგის კომისიის თავმჯდომარე შედეგებს წარუდგენს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს.

მიმდინარე წლიდან იგეგმება წლიური ნაშრომების მინიმალური მოცულობის განსაზღვრა, მათი ერთიან ფორმატში წარმოდგენა, რეცენზირება და შეფასება.

კალენდარული წლის პირველი ნახევარში, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, გაწეული მუშაობის შუალედურ ანგარიშს სამეცნიერო საბჭოს წარუდგენენ.

გ) *პერსონალის განვითარების საჭიროებების გამოვლენა, ინდივიდუალური კოტენციალის აღმოჩენა და სწორი მიმართულებებით განვითარება;*

სამეცნიერო პერსონალის განვითარებისთვის აუცილებელია ინსტიტუციურად ზრუნვა მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის; ინსტიტუტის თანამშრომელთა

კვალიფიკაციის ამაღლებისათვის (განსაკუთრებით ახალგაზრდა მეცნიერ თანამშრომლებისათვის) აუცილებელია: სამეცნიერო ფორუმების (სამეცნიერო დისპუტები, სემინარები, ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები და ა.შ.) მოწყობა; ინსტიტუტის პერიოდული გამოცემები უნდა განხორციელდეს საერთაშორისო სტანდარტებით; გააქტიურდეს და გაფართოვდეს საერთაშორისო და ადგილობრივი პროფესიული კონტაქტები; იგეგმება საერთაშორისო რეიტინგულ გამოცემებში პულიკაციების ხელშეწყობა; როგორც ქვეყნის შიგნით და უცხოეთში სამეცნიერო მივლინებების ორგანიზება და ხელშეწყობა; საველე ეთნოგრაფიული ექსპედიციების მოწყობა; ხსენებული აქტივობები სათანადოდ უნდა აისახოს ინსტიტუტის ბიუჯეტში.

დ) შრომითი მოტივაციისა და სამუშაოთი კმაყოფილების გაზრდა;

შრომითი მოტივაციის გაზრდის თვალსაზრისით, უნდა განვითარდეს სამეცნიერო-ტექნიკური ბაზა, ინსტიტუტის ინფრასტრუქტურა (შესაბამისი შენობა, საკონფერანციო დარბაზი, თანამედროვე ტექნიკა და ა.შ.); გაძლიერდეს საარქივო და საბიბლიოთეკო უჯრედები (შეივსოს თანამედროვე სპეციალური ლიტერატურით), შეიქმნას ანთროპოლოგიური მუზეუმი; გაიზარდოს თანამშრომელთა საერთაშორისო ბაზებთან წვდომის უნარ-შესაძლებლობები; ბიუჯეტში ჩაიღოს გამორჩეული კვლევების გამოცემის და ავტორთა წახალისების ხარჯები; თანამშრომლებს მიეცეთ ღირსეული ანაზღაურება; საველე ექსპედიციების და სამეცნიერო მივლინებების დაფინანსება.

ე) დაკისრებული მოვალეობების შესრულების ხარისხის გაუმჯობესება.

ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესება უნდა უზრუნველყოს წლიური თემების რეცენზირება-შეფასებამ, ინსტიტუტის გამოცემებში საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრებამ; საუკეთესო ნაშრომის გამოვლენამ და ავტორის წახალისებამ.

თქვენ მოისმინეთ ჩვენი მოსაზრებები, თუ რა სახით ვაპირებთ სამეცნიერო საქმიანობის წარმართვას. გთხოვთ, მოგვაწოდოთ შენიშვნები, მოსაზრებები, კონკრეტული წინადადებები.

გიორგი ჭეიშვილი: 81/2018 დადგენილების მიხედვით, თვითშეფასების მიზნებიდან გამომდინარე, თანამშრომელთა სამუშაოს შეფასება/თვითშეფასება ხორციელდება შესაბამისი კრიტერიუმებით, რომლებიც უშუალო კავშირშია სამუშაოს შესრულების ხარისხთან (მუხლი 3.). ეთხოვოს თსუ-ს შესაბამის სტრუქტურებს, ამ მიმართულებით ჩატარდეს ტრენინგი ინსტიტუტის სტრუქტურულ ერთეულებში.

ლავრენტი ჯანიაშვილი: თანამშრომელთა შრომითი მოტივაციის გაზრდისათვის (დ კუნქტი) კარგი იქნება ჩვენი თანამშრომლების ხელფასი მიახლოებული იყოს უნივერსიტეტის თანამშრომელთა ანაზღაურებასთან და ასევე, სასურველია, სადაზღვევო სისტემის გათანაბრება უნივერსიტეტთან (სადაზღვევო მომსახურეობის მისაღებად თანხა არ ეჭრებოდეთ ისედაც მცირე ხელფასების მქონე პერსონალს).

გიორგი ჭეიშვილი: შრომითი მოტივაციის გაზრდისათვის, კარგი იქნება ანაზღაურდეს თანამშრომელთა მიერ შესრულებული დამატებითი საქმიანობა, მაგ., ინსტიტუტის გამოცემის სარედაქციო კოლეგიის წევრობა.

ლიანა ბითაძე: ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიის თანამშრომლებს, ახალი მეთოდების შესწავლისათვის, აუცილებლად ჭირდებათ კვალიფიკაციის ასამაღლებელი სტაჟირება.

ვაჟა კიკნაძე: მინდა გავაკეთო განმარტება - ბ-ნ გ. ქავთარაძეს აქვს ინფორმაცია, რომ 2018 წლის აგვისტოს შემდეგ გამოქვეყნდა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების კრიტერიუმების დადგენის ამსახველი რამდენიმე საყურადღებო სტატია, რომელიც მიზნად ისახავს ძირითად აკადემიურ საძიებო მექანიზმებსა და ბიბლიოგრაფიულ მონაცემთა ბაზებს (Google Scholar, Web of Science, Scopus) შორის არსებული განსხვავებების სისტემატიზირებას, თითქმის ორნახევარი მილიონი ციტირებების საფუძველზე და რომელშიც წარმოჩენილია Google Scholar-ის შედარებითი უპირატესობა დანარჩენ ორ უმთავრეს საძიებო მექანიზმთან (Web of Science და Scopus) მიმართებაში.

აზრი გამოთქვს: მ. ჩხარტიშვილმა, ლ. ჯანიაშვილმა, ვ. გოილაძემ, გ. ჭეიშვილმა, ნ. მინდაძემ, რ. თოფჩიშვილმა, ლ. ბითაძემ, ა. სონღულაშვილმა, ვ. კიკნაძემ.

ლავრენტი ჯანიაშვილი: სამეცნიერო საბჭომ უნდა შეაფასოს 2018 წლის სამეცნიერო მუშაობის შედეგები თვითშეფასების კითხვარების მიხედვით. მე მაქვს წინადადება, მიღებული შედეგები დადებითად (საშუალოზე უფრო მაღალი) შეფასდეს; სამუშაოს შეფასების მიზნების წარმოდგენილ სამუშაო ვარიანტს დაემატოს გამოთქმული წინადადებები და მიეცეს მსვლელობა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა: მომხრე – 12 წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს:

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის 2018 წლის სამეცნიერო მუშაობის შედეგები თვითშეფასების კითხვარების მიხედვით, დადებითად (საშუალოზე უფრო მაღალი) შეფასდეს; სამუშაოს შეფასების მიზნების წარმოდგენილ ვარიანტს დაემატოს გამოთქმული წინადადებები და ოქმიდან ამონაწერის სახით გადაეგზავნოს თსუ-ს შესაბამის სტრუქტურებს.

მოისმინეს:

2. ინსტიტუტის სამეცნიერო კრებულთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები.

ლავრენტი ჯანიაშვილმა საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით; რომ ბ-ნ დირექტორს აქვს წინადადება ინსტიტუტის სამეცნიერო კრებულის სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობას დაემატოს ერთი წევრი - ამერიკელი ისტორიკოსი, ხელოვნებათმცოდნე ერიკ ტუნო, რომელიც ხშირად ჩამოდის საქართველოში, კარგად იცნობს ქართულ სინამდვილეს, მჭიდროდ თანამშრომლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნულ ცენტრთან.

წინადადება ერთხმად იქნა მიღებული.

მოისმინეს:

3. ინსტიტუტის ვებ-გვერდის განახლება.

ლავრენტი ჯანიაშვილი: როგორც მოგეხსენებათ, ინსტიტუტის ვებ-გვერდის რეორგანიზაციისათვის შექმნილია ჯგუფი, რომელმაც ვერ შეძლო დაგეგმილი სამუშაო შეხვედრა ამ კვირაში, ამიტომ უპრიანი იქნება მათი მოსაზრებები, იდეები და წინადადებები საიტის განახლების შესახებ წარმოადგინონ მომდევნო პარასკევს, 22 თებერვალს მეცნიერ-თანამშრომელთა კრებაზე. ვთანხმდებით, რომ ეს საკითხი გადატანილია.

მოისმინეს:

4. მიმდინარე საკითხები:

მარიამ ჩხარტიშვილისა და სოფიო ქადაგიშვილის სამეცნიერო მივლინების ანგარიში ესპანეთის სამეფოში.

გიორგი ჭეიშვილი: მინდა მოგაწოდოთ ინფორმაცია პრემიების შესახებ; გასულ წლებში თანამშრომლები, წლის ბოლოს პრემიის სახით იღებდნენ თანხას სახელფასო ფონდის ეკონომიიდან (აუთვისებელი თანხა რჩებოდა რამოდენიმე ვაკანსიის ხარჯზე). 2018 წელს ჩატარებული კონკურსის შემდეგ, ვაკანსიები არ დარჩენილა, ამიტომ მიმდინარე წელს ამ სახით ვერ მოხდება თანამშრომელთა წახალისება. კარგი იქნება, მოვიძიოთ დამატებითი თანხები, რაც საშუალებას მოგვცემს ინსტიტუტის პერიოდული გამოცემების რედაქციებში შეყვანილ თანამშრომლებს (განსაკუთრებით, ახალგაზრდებს), ასევე, სხვა დამატებითი სამუშაოს შესრულების გამო, მიეცეთ გარკვეული სახის ანაზღაურება.

ასევე, მინდა გაცნობოთ, რომ ანთროპოლოგიის მუზეუმის დამთავრების შემდეგ, სავარაუდოდ, მომავალი წლიდან ინსტიტუტის ბიუჯეტიდან 1000-1000 ლარით დაფინანსდება განყოფილებების კრებულების გამოცემის ხარჯები, რომლებიც დღესდღეისობით, ავტორთა ხარჯით გამოიცემა.

რაც შეეხება საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებსა და ვებ-გვერდებს: შ. გლოველს, ვთხოვეთ, ამ საკითხთან დაკავშირებით გააკეთოს პრეზენტაცია მეცნიერ-თანამშრომელთა კრებაზე მომდევნო პარასკევს, 22 თებერვალს.

კარგი იქნება, გადავწყვიტოთ საინსტიტუტო სემინარების ორგანიზების საკითხი. ლავრენტი ჯანიაშვილი: საინსტიტუტო სემინარების ჩატარება სასარგებლოა ინსტიტუტის სამეცნიერო საქმიანობისთვის. თანამშრომლებს უკვე მომზადებული აქვთ

თემები, ეთხოვოს ქ-ნ ხათუნა იოსელიანს შეადგინოს გრაფიკი და მარტის თვიდან დაიწყოს სემინარები.

მინდა მოგაწოდოთ ინფორმაცია, და გთხოვოთ გააცნოთ თქვენი განყოფილებების თანამშრომლებს, რომ საქალაქო ბიბლიოთეკების გაერთიანებას, რომლებშიც რამოდენიმე ბიბლიოთეკა შედის, აქვთ სურვილი ითანამშრომლონ ინსტიტუტთან. შეგვეძლება მათი სივრცის გამოყენება ჩვენი წიგნების პრეზენტაციების, შეხვედრების, ლექციების ჩასატარებლად. მათი მხრიდან თხოვნაა, ჩვენი თანამშრომლების მიერ გამოცემული წიგნები გადაეცეთ საჩუქრად.

გიორგი ჭეიშვილი: ნორჩ ისტორიკოსთა სკოლაში ქ-მა მამანა შეყილაძემ გვთხოვა 4 ლექციის ჩატარება; ასევე, მარნეულის მუნიციპალიტეტიდან წერილით მოგვმართა ბ-მა ელგუჯა კუპატაძემ, გვთხოვა, რომ ისტორიკოსები ჩავიდნენ და ადგილობრივ მოსახლეობას ჩავუტარონ ლექციები. ჩვენი ორი თანამშრომელი ლავრენტი ჯანიაშვილი და გიორგი მამარდაშვილი უკვე იყვნენ ჩასულები და შეხვედრამ, რომელსაც აზერბაიჯანელი მოსახლეობაც ესწრებოდა, წარმატებით ჩაიარა.

ვაჟა კიკნაძემ დააყენა საკითხი ინსტიტუტში შეიქმნას ჯგუფი, რომელიც განიხილავს იმ საჭირობოროტო საკითხებზე, საკამათო პუბლიკაციებზე პასუხის გაცემას, რომლებიც უცხოეთის სხვადასხვა გამოცემებში იბეჭდება. მაგ., ტიმოთე ბლაუველტისა და ანტონ მაჭარაძის სტატია, რომელიც შეეხება XIX საუკუნის ცარისტული რუსეთის პედაგოგიურ პოლიტიკას საქართველოში და კერძოდ, კირილე იანოვსკის მოღვაწეობის მათეულ შეფასებას. სტატია ინგლისურ ენაზეა გამოსული ევროპულ ონლაინ ჟურნალში; საჭიროა პასუხი პოლონეთის ქალაქ ბრეშოვში, უნივერსიტეტის ჟურნალში დაბეჭდილ ვალერი ძიძოვეის რუსულენოვან სტატიაზე, რომელიც ე. წ. სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის „სუვერენიტეტს“ შეეხება.

აზრი გამოთქვეს: მ. ჩხარტიშვილმა, ლ. ჯანიაშვილმა, ვ. გოილაძემ, ა. სონდულაშვილმა, ე. ბუბულაშვილმა, ხ. იოსელიანმა, გ. ჭეიშვილმა, ლ. ბითაძემ.

სხდომამ დაადგინა: ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის 2018 წლის სამეცნიერო მუშაობის შედეგები თვითშეფასების კითხვარების მიხედვით, დადებითად (საშუალოზე უფრო მაღალი) შეფასდეს; სამუშაოს შეფასების მიზნების წარმოდგენილ ვარიანტს დაემატოს გამოთქმული წინადადებები და ოქმიდან ამონაწერის სახით გადაეგზავნოს თსუ-ს შესაბამის სტრუქტურებს.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე:



ლავრენტი ჯანიაშვილი

სხდომის მდივანი:



მარიამ ბუტიკაშვილი

15. 02. 2019

თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2019 წლის 15 თებერვლის სხდომას ესწრებოდნენ
მთავარი მეცნიერი თანამშრომლები:

- გიორგი ჭეიშვილი
- ლევან გორდუზიანი
- მარიამ ჩხარტიშვილი
- ავთანდილ სონდუღაშვილი
- ქეთევან ხუციშვილი
- როლანდ თოფჩიშვილი
- ლიანა ბითაძე
- გიორგი ქავთარაძე
- ვახტანგ გოილაძე
- ეკა კვაჭანტირაძე
- ვაჟა კიკნაძე
- დოდო ჭუმბურიძე
- ელდარ ბუბუღაშვილი
- ნიკოლოზ ჯავახიშვილი
- ნინო მინდაძე
- ხათუნა იოსელიანი
- სალომე ოქრუაშვილი
- ლავრენტი ჯანიაშვილი






















თვითშეფასების შევსებული კითხვარების გაერთიანებული მონაცემები:

2. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები

2.1. სტატია ჟურნალში

1. სამეცნიერო სტატია იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში, რომელიც ინდექსირებულია Web of Science-ის მიერ; სამეცნიერო სტატია გამოქვეყნებული ჟურნალში, რომელიც აღიარებულია ERIH-ის (European Reference Index of the Humanities) მიერ --- 0 სტატია
2. სამეცნიერო სტატია, რომელიც ინდექსირებულია Web of Science, Scopus, SCImago Journal & Country Rank, ResearchGate-ის მიერ --- 1 სტატია
3. რეცენზირებული (Peer-reviewed) სამეცნიერო სტატიები სხვა საერთაშორისო ჟურნალებში, რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო, ასევე რომლებიც ვრცელდება ღია საერთაშორისო კონტრიბუციისთვის; უცხოეთში გამოცემული ყველა სამეცნიერო სტატია, რომლებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში --- 8 სტატია
4. ქართველოლოგიურ დარგებში მოღვაწე სამეცნიერო პერსონალისთვის რეცენზირებული სამეცნიერო სტატიები გამოქვეყნებული ქართულ სამეცნიერო ჟურნალებში, რომელთაც ჰყავთ ადგილობრივი სარედაქციო საბჭო და აქვთ ISSN კოდი --- 53 სტატია
5. სხვა --- 14 სტატია

2.2. წიგნი/მონოგრაფია

1. მაღალრეიტინგული რეცენზირებული (საერთაშორისო რეცენზირების მქონე Peer-reviewed) სამეცნიერო მონოგრაფია უცხო ენაზე (მათ შორის ლექსიკოგრაფიული, წყაროთმცოდნეობითი, ტექსტოლოგიური, მთარგმნელობითი კვლევების ამსახველი მონოგრაფია), რომელიც ინდექსირებულია Scopus, SCImago Journal & Country Rank, ResearchGate-ის მიერ --- 0 მონოგრაფია
2. ქართულენოვანი ან სხვა ენაზე შესრულებული, რეცენზირებული (რეცენზირების მქონე Peer-reviewed) მონოგრაფია (მათ შორის ლექსიკოგრაფიული, წყაროთმცოდნეობითი, ტექსტოლოგიური, მთარგმნელობითი კვლევების ამსახველი მონოგრაფია) --- 12 მონოგრაფია
3. სხვა --- 3 (1 ბროშურა და 2 სახელმძღვანელო)

2.3. სტატია საკონფერენციო მასალებში/თავი წიგნში ან კრებულში

1. სტატიები/თავები წიგნში, საკონფერენციო მასალებში ან კრებულში, რომლებიც ინდექსირებულია Web of Science-ის ან Scopus-ის საკონფერენციო მასალების ციტირების ინდექსით --- 0 სტატია
2. სტატიები/თავები წიგნში, საკონფერენციო მასალებში ან კრებულში, რომლებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში --- 1 სტატია
3. სხვა --- 15 სტატია

2.4. გამოქვეყნებული სამეცნიერო სემინარების/შეხვედრების თეზისები

1. საკონფერენციო თეზისები, ინდექსირებული Web of Science-ის ან Scopus-ის მიერ --- 0 ნაშრომი
2. საკონფერენციო თეზისები, ინდექსირებული Google Scholar -ის მიერ --- 1 ნაშრომი
3. სხვა --- 2 ნაშრომი

2.6. ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით საგრანტო პროექტებში მონაწილეობა

ინსტიტუტში შესრულდა 2 პროექტი შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით (1 დასრულდა, 1 გრძელდება) და 1 საერთაშორისო პროექტი (National Science Foundation, აშშ) გრძელდება.

ინსტიტუტის 13 მეცნიერმა მონაწილეობა მიიღო ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში, რომლებიც ფინანსდებოდა სხვადასხვა ფონდის (რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი; „World vision“; „რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი კავკასია“ (REC Caucasus); „აღმოსავლეთ ევროპისა და საერთაშორისო კვლევების ცენტრი“ (ZOIS - გერმანია); „განათლების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ნორვეგიული ცენტრი“ (NorGePart: Norwegian-Georgian Partnership Program for Research-Based Educational Collaboration in Anthropology - ნორვეგია); ფოლკსვაგენის ფონდი (გერმანია); გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური (DAAD) (გერმანია) მიერ სხვა ორგანიზაციების (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია; კავკასიის ხალთა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი) ბაზაზე.

2.7. ეროვნულ სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებაში (კონფერენცია, სიმპოზიუმი, სემინარი, ვორკშოპი და სხვ.) მონაწილეობა

მონაწილეობა მიიღო --- 29 თანამშრომელმა

2.8. საქართველოში ჩატარებულ საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებაში (კონფერენცია, სიმპოზიუმი, სემინარი, ვორკშოპი და სხვ.) მონაწილეობა

მონაწილეობა მიიღო --- 35 თანამშრომელმა

2.9. უცხოეთში ჩატარებულ საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებაში (კონფერენცია, სიმპოზიუმი, სემინარი, ვორკშოპი და სხვ.) მონაწილეობა

მონაწილეობა მიიღო --- 19 თანამშრომელმა

სამეცნიერო პერსონალიდან მონაცემები წარმოადგინა 39 თანამშრომელმა 46-დან. 7 თანამშრომელს 2018 წელს შესრულებული აქვს მხოლოდ წლიური თემები, ხოლო ნაშრომები (სტატიები და სხვა) გადაცემული აქვს დასაბეჭდად სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში.